სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/363

ქ. თბილისი 21 ნოემბერი 2019

პროფესიული მომზადების პროგრამების და მათი ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2019 წლის 17ოქტომბრის საბჭოს სხდომის №12 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს პროფესიული მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები და მათი ხელმძღვანელები:
   1.1. „ავტომობილის ელექტრული სისტემის დიაგნოსტიკა“, ხელმძღვანელი – ვალერი ჯაჯანიძე. მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა ერთ მიღებაზე –15;
   1.2. „სატვირთო გადაზიდვების ოპერირება“, ხელმძღვანელი – ნათია ბუთხუზი. მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა ერთ მიღებაზე – 15;
   1.3. „ჰაერის კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემების მონტაჟი“, ხელმძღვანელი – თამაზ ისაკაძე. მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა ერთ მიღებაზე – 15.

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

დადგენილებას თან ერთვის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**